ხაშურის მოამბე

№32 (453) 26 აგვისტო, ორშაბათი, 2024 წელი

28 აგვისტოს მარიამობაა - გილოცავთ!

უფლის აღდგომის შემდეგ, მოციქულთა და ქრისტეს ახლადდაარსებული ეკლესიის მხარდაჭერა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა იტვირთა. იგი იყო ის, ვინც ახლადმოქცეულ ქრისტიანებს უძღვებოდა და მწუხარების ჟამს ანუგეშებდა. მის ცხოვრებისვრცელვერსიაშივკითხულობთ,რომმიძინებამდე სამი დღით ადრე, მსგავსად ხარებისა, მას მთავარანგელოზი გაბრიელი ეწვია, და აუწყა მისი დიდებულ გადასვლა სიკვდილისაგან სიცოცხლეში. შემდეგ სულიწმინდამ სასწაულებრივად შეკრიბა ყველა მოციქული გეთსიმანიაში, ღვთისმშობლის სახლში, რათა მისგან კურთხევა აეღოთ და მის წმინდა დაკრძალვას დასწრებოდნენ. მას შემდეგ, რაც ყოვლადწმინდას

დიდება აღუვლინეს, ისინი შეევედრენ მისგან უკანასკნელი სწავლება მიეღოთ. ჩვენმა დედოფალმა პასუხად მათ იგავი მოუთხრო, რომელშიც ეს სამყარო სავაჭრო ბაზრობად იყო წარმოდგენილი, სადაც ის, ვინც ყველაზე უკეთ ივაჭრებდა, ანუ საუკეთესო შესყიდვებს განახორციელებდა, მოგებასაც იგი მიიღებდა. შემდეგ მან განუმარტა, რომ სულიერ ცხოვრებაშიც ასე ხდება. ვინც ქრისტეს მცნებებს ყველაზე მეტი გულმოდგინებითა და სიზუსტით იცავს, ის მიიღებს ყველაზე დიდ სარგებელს, დიდებას ცათა სასუფეველში. მან ასევე მოუწოდა განეგრძოთ „კეთილი ღვაწლი“.

მართლაც, როგორ სიამოვნებს ღვთისმშობელს, როდესაც ცხონებისათვის მებრძოლებს გვხედავს! თავადაც რამდენს იბრძოდა დედამიწაზე ყონფისას. ასკეტიზმის სრულყოფილი მაგალითი დაგვიტოვა, მიუხედავად იმისა, რომ მისი უცოდველობიდან გამომდინარე ამის აუცილებლობა არ არსებობდა. მიძინების შემდეგ, გეთსიმანიაში, სადაც იგი ცხოვრობდა, იატაკის ფილებზე მუხლმოდრეკისგან დატოვებული ღრმულები და ნაჭდევები აღმოაჩინეს.ჩვენ უნდა მივბაძოთ მის უშუალო მორჩილებას, გულთბილობას, სიმდაბლეს, მის დაფარულ სულიერ ღვაწლს, ცეცხლოვან ლოცვას, მოუკლებელ მღვიძარებას, ღვთიურ, მწველ სიყვარულსა და სულიერ ტკივილს, რომელმაც შვილის ჯვარცმის შემხედვარეს ხანჯალივით განუგმირა გული. სულიერ ბრძოლაში ჩართულთათვის იგი “ძლევამოსილი მეოხია“, იმისდა მიუხედავად უწინ ცოდვილნი იყვნენ თუ – არა. გავიხსენოთ, რომ წმინდა მარიამ ეგვიპტელისთვის ღვთისმშობელი მონანიების ერთგვარი „გარანტი“ გახდა. როდესაც წმინდა მარიამი უდაბნოში განმარტოვდა, სადაც დაუღალავ ღვაწლს შეუდგა, დიდებული დედოფალი თავად ეცხადებოდა და ანუგეშებდა მას. როგორც ბერების მფარველი, იგი მათთვის ღვთაებრივ ძღვენთა მიმნიჭებელია, განსაკუთრებით

ათონელთათვის. ის იყო, ვინც გულისმიერი ლოცვა უწყალობა ღირს მაქსიმე კავსოკალიველს, წმინდა გრიგოლ პალამას, სილუან ათონელსა და ღირს იოსებ ისიხასტს. ეს კი კიდევ ერთი მიზეზია, თუ რატომ აქვს ამ დღეს ჩვენთვის, მისი სულიერი შვილიშვილებისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა: ამ დღეს, 1959 წელს, საღმრთო ლიტურგიის შემდეგ ღირსმა მამამ ღვთივ განისვენა. მას ისე უყვარდა ღვთისმშობელი, რომ ტკბილ დედიკოდ მოიხსენიებდა და მისგან მრავალი გამოცხადება, საღვთო ჩვენება და ძღვენი მიეღო. მართლაც, ათონელი წმინდა მამებისთვის ღვთისმშობლისადმი მსგავსი სიყვარული განსაკუთრებულად დამახასიათებელია. მისი სახელის გაგონებისას ცრემლებს ვერ იკავებდნენ, მათი ღვთსმოყვარე სული მადლიერებით ღმერთს ადიდებდა. ასე რომ, გონებით ღვთისმშობელზე ფიქრიც განწმენდს ადამიანს. ნეტარი მამა ათანასე ივერიის მონასტრიდან, ამბობდა, რომ ღვთისმშობლის სიყვარული ადამიანებს იხსნის, თუნდაც საქმით ვერ გამოირჩეოდნენ ისინი. დღეს ადამიანებმა საკუთარი ხსნისათვის მაქსიმალურად უნდა ისარგებლონ ღვთისმშობლის შუამდგომლობით. ყოველ მწუხარებასა და განსაცდელში, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ არსებობს მწუხარეთა მეოხი, მფარველი და სასოწარკვეთილთა ნუგეში, რომელსაც შეგვიძლია მივმართოთ და ვიპოვოთ სიმშვიდე, გამოსავალი და პასუხი ყველა ვითარებაში. ვლოცულობთ, რომ ჩვენმა დედოფალმა, რომელიც „სიცოცხლეში გადავიდა“ ყოველთვის გვაკურთხოს, რათა ეს ცხოვრება განვლიოთ რაც შეიძლება ნაკლები ზიანით, ბოროტის ცდუნებებისგან და მახეებისგან დაცულად, გაგვხადოს თავისი ძის ზეციური სამეფოს ღირსი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 6 თვეში შესრულებული საქმიანობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილების საფუძველზე, როგორც მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, უზრუნველყოფს ეკონომიკური მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას, მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას, მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვას და მართვას.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების, საქართველოს მთავრობის 08.12.2014წ. №669 დადგენილების და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სამსახური შედგება სამსახურის ხელმძღვანელისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულებისგან-განყოფილებებისაგან:

1. მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება;

2. სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილება.

სამსახურის საშტატო განრიგი შედგება, სამსახურის უფროსის, განყოფილების ხელმძღვანელების და 10 მოხელისაგან-(სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილება-5; მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება-5).

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად გატარებულია რიგი ღონისძიებები და პროცედურები.

2024 წლის 6 თვეში - წიაღის ეროვნული სააგენტოდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე შემოსულია 34 მომართვა, თანხმობა-17, უარი-4, 13 მომართვა მოკვლევაშია. მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნათა ელექტრონულ ბაზაში შეყვანილია - 29 ბენეფიციარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით, კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არა იზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის

შესაბამისად მომზადდა თანხმობის 1 პროექტი. 1 პროექტს ეთქვა უარი.

ყოველი წლის არა უგვიანეს თებერვლამდე საკრებულოს სხდომაზე ვიღებთ ახალ დადგენილებას „ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

2024 წლის 6 თვეში -ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ- მოძრავი ქონება სარგებლობაში, საკუთრებაში და იჯარის ფორმით გადაეცა შემდეგ ა(ა)იპ-ს და სსიპ-ებს:

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა სურამში მდებარე 12575კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (69.04.59.034) 32 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდგომში მისი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო“-ს გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა სურამში მდებარე (ს/კ 69.04.59.785) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, უსასყიდლო უზუფრუქტით, სარგებლობის უფლებით, ახალი ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების განთავსებისთვის.

ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის გადაეცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონება (ს.კ 69.08.67.985) უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით 2 წლის ვადით.

სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები გადეცა ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“–ს (ს/კ 443856908) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით.

მოქალაქე ჯიმშერ ხაჩიძეს დროებით სარგებლობაში (ერთი თვით) იჯარის ფორმით, ატრაქციონების განსათავსებლად გადაეცა, ხაშურში ტაბიძის ქუჩაზე მდებარე (ს/კ 69.08.59.780) უძრავი ქონებიდან (დასასვენებელი პარკი) 126კვ.მ. ფართი.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა შემდეგი უძრავი ქონება:

ს/კ 69.08.60.743 - ხაშურში, ბორჯომის ქუჩის მიმდებარედ, სპორტული და დასასვენებელი სივრცის მოწყობის მიზნით.

ს/კ 69.08.58.477- ხაშურში, 9 აპრილის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება.

ს/კ 69.06.60.929 -ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიშხეთი, ნინო ყიფიანის ხეივანი №16.

განახლების პროცესშია საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ობიექტების ნუსხა და დოკუმენტაციის შესაბამისი პაკეტი, რომელთა გაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განხორციელდება ელექტრონული აუქციონის წესით. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში სულ შეტანილია 15 ობიექტი, ასევე დაინტერესებული პირების მომართვის საფუძველზე მიმდინარეობს საპრივატიზებოდ მიმზიდველი უძრავი ქონების შერჩევა-შეფასების პროცესი.

დაწყებულია საქმისწარმოება:

„სსიპ- ვაჟა-ფშაველას სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოცხნარის საჯარო სკოლისთვის“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა.

„სსიპ- სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსთვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების, სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით გადაცემის შესახებ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ გომში, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე მდებარე უძრავი ქონებიდან (საკადასტრო კოდი: 69.02.65.022.059) ნაწილი 64,4 კვ.მ ფართის იჯარის ფორმით გადაცემა, 2 წლის ვადით, ელექტრონული აუქციონის წესით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ ეტაპობრივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია.

მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების საფუძველზე განხილული და დამტკიცებული იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები - 71 შემდგომში ნებართვების მისაღებად, შეთანხმებულია - I კლასის ობიექტების მშენებლობის 24 პროექტი, შესრულდა მიწის ნაკვეთების გაყოფის - 64 და გაერთიანების 39 განცხადება, შეთანხმებულია ``ენერგო-პრო ჯორჯიას~ 89 პროექტი, სს ``სილქნეტის~ 16, შპს “სოკარ-ჯორჯიას~ 11 და შპს „მაგთიკომი“-ს 5 ობიექტი, პასუხი გაეცა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შემოსულ მრავალ მომმართვასა და განცხადებას.

გაიცა მშენებლობის 56 ნებართვა, მათ შორის: საცხოვრებელ სახლებზე - 15, კომერციულ ობიექტებზე - 9, დემონტაჟი - 8, რეკონსტრუქცია - 6, სასაწყობე შენობებზე - 2, საზკვების ობიექტი - 2, ავტოსერვისი - 5, ავტოგასამართი სადგური - 1, ამბულატორიის შენობა - 1, ავეჯის საამქრო - 1, დამხმარე შენობა 1, ღობე - 3, საბავშვო ბაღის შენობა - 1, საჯარო სკოლის შენობა - 1.

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 20169 ლარი.

განხილვის პროცესშია სივრცითი დაგეგმარების მოსამზადებელი დოკუმენტაცია სამთო სათხილამურო კურორტი „შუანოს ველი’’-ს, სოფელ ალექსანდრესწყაროში და დაბა სურამში შპს „პარკჰოტელი“-ს საკუთრეხაში არსებულ მიწის ნაკვეთში ახალი დასახლების მიწათსარგებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის შესამუშავებლად.

სერგო ლალიაშვილი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარების სამსახურის

ხელმძღვანელი

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

პატივცემულო მოქალაქეებო, გიზიარებთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არგუმენტირებულ პოზიციას ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტის ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით:

“ხაშურის წყლის პროექტისთვის სასესხო შეთანხმებას საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD) („ქალაქ ხაშურის და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება) ხელი მოეწერა 2020 წლის 31 ივლისს და მოიცავს 58 მლნ ევროს ოდენობის სესხს, საიდანაც შესრულებული სამუშაოებისთვის დღეის მდგომარეობით ჩამორიცხულია 21.4 მლნ ევრო.

ამჟამად ხელმოსაწერად მომზადდა მეორე ეტაპისთვის საჭირო რესურსი, რაზეც მუშაობა საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD) დაიწყო 2023 წლიდან (საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 ნოემბრის N2072 განკარგულების საფუძველზე) ორივე მხარის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად და ითვალისწინებს მეორე ეტაპის სამუშაოების დაფინანსებას 30 მლნ ევროს ოდენობის სესხით.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 აგვისტოს განკარგულება, გულისხმობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის თანხმობის მიცემას საკრედიტო შეთანხმების დადების მიზნით, რაც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმალურ პროცედურას.

აღნიშნული შეთანხმება მხარეებს შორის მიღწეულია საქართველოს მთავრობის განკარგულების გამოცემამდე და დღეის მდგომარეობით ხელშეკრულება ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ხელშეკრულება დადგენილი წესით გადაიგზავნება საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის.”

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, თავის მხრივ აცხადებს, რომ პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე, იგი დაყოფილია რამდენიმე ლოტად. პირველ ეტაპზე წყალმომარაგების ქსელი გაკეთდება ყველგან, ხოლო წყალარინების ქსელის მოეწყობა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. შემდეგი ლოტებით გათვალისწინებულია სათავე ნაგებობის აგება და წყალარინების ქსელის მოწყობა ქალაქის დანარჩენ უბნებში. აღნიშნული სამუშაოებისთვის, მუნიციპალიტეტის მოთხოვნით, საჭირო გახდა თანხის დამატება, თუმცა ეს სახსრები მოძიებულია. პროექტის განხორციელებას არავითარი საფრთხე არ ემუქრება და წყალარინება მოიცავს ქალაქის ყველა ქუჩას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

(ქვემოთ გთავაზობთ ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური განცხადების სრულ ტექსტს).

***

საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან ხელშეკრულება ხელმოწერილია და დადგენილი წესით რატიფიცირებისთვის გადაიგზავნება საქართველოს პარლამენტში

საქართველოს მთავრობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ახორციელებს არაერთ საინვესტიციო პროექტს საგზაო, ენერგეტიკის, წყლის ინფრასტრუქტურის, ირიგაციის სისტემების და სხვა ინფრასტრუქტურული მიმართულებებით.

საინვესტიციო პროექტებისთვის სასესხო შეთანხმებების მომზადება რეგულარულად ხდება და მოიცავს მთელ რიგ პროცედურებს როგორც დონორის მხრიდან, ისე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დასაცავად, როგორიცაა ხელმოწერის უფლებამოსილება, რატიფიცირება და ა.შ.

საქართველოს მთავრობის მიერ მუშაობა საინვესტიციო პროექტებზე და მათ დასაფინანსებლად შესაბამისი ინსტრუმენტების მოძიებაზე ბუნებრივია გრძელდება მუდმივ რეჟიმში, მათ შორის საერთაშორისო და ორმხრივ პარტნიორებთან თანამშრომლობით.

ხაშურის წყლის პროექტისთვის სასესხო შეთანხმებას საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD) („ქალაქ ხაშურის და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება) ხელი მოეწერა 2020 წლის 31 ივლისს და მოიცავს 58 მლნ ევროს ოდენობის სესხს, საიდანაც შესრულებული სამუშაოებისთვის დღეის მდგომარეობით ჩამორიცხულია 21.4 მლნ ევრო.

ამჟამად ხელმოსაწერად მომზადდა მეორე ეტაპისთვის საჭირო რესურსი, რაზეც მუშაობა საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD) დაიწყო 2023 წლიდან (საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 ნოემბრის N2072 განკარგულების საფუძველზე) ორივე მხარის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად და ითვალისწინებს მეორე ეტაპის სამუშაოების დაფინანსებას 30 მლნ ევროს ოდენობის სესხით.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 აგვისტოს განკარგულება, გულისხმობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის თანხმობის მიცემას საკრედიტო შეთანხმების დადების მიზნით, რაც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმალურ პროცედურას.

აღნიშნული შეთანხმება მხარეებს შორის მიღწეულია საქართველოს მთავრობის განკარგულების გამოცემამდე და დღეის მდგომარეობით ხელშეკრულება ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ხელშეკრულება დადგენილი წესით გადაიგზავნება საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის.

- ფეხბურთი -

ტურნირი „დურუს თასზე“ დასრულდა

ხაშურში ტრადიციული ტურნირი მინი ფეხბურთში მოყვარულთა შორის „დურუს თასი 2024“ დასრულდა. ტურნირი გარდაცვლილი ახალგაზრდა ფეხბურთელის - დავით გოჩიაშვილის სახელს ატარებს.

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს „დურუ“ და „სეტანტა სეტე“ დაუპირისპირდნენ. დაძაბული ბრძოლის შედეგად, შეხვედრა გუნდმა „სეტანტა სეტემ“ ანგარიშით 4:0 მოიგო და დურუს გარდამავალ თასს დაეუფლა.

მესამე ადგილზე გავიდა გუნდი „სურამი“, რომელმაც ასევე უკომპრომისო და უხვგოლიან ბრძოლაში „გურამიშვილის“ გუნდს 6:4 სძლია.

გამარჯვებულებს პრიზები დაშესაბამისი სინჯის მედლები გადასცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფრუიძემ, სპორტის განყოფილების ხელმძღვანელმა ბესიკ გაჩეჩილაძემ, ხაშურის სასპორტო სკოლის დირექტორმა ივანე ხარაზიშვილმა. ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატის, ზაალ დუგლაძეს მიერ დაწესებული ტრადიციული პრიზი ტურნირის გამარჯვებულმა სამივე გუნდმა დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელ ეკატერინე დუგლაძისგან მიიღო.

დაჯილდოვდა ტურნირის საუკეთესო მეკარე გიორგი ლოლაძე. მაყურებლის სიმპათიის პრიზი დაიმსახურა ფეხბურთელმა სოსო ალავიძემ, ხოლო ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა ვაკო ციცქიშვილი. საუკეთესო მოთამაშეებს პრიზები ვეტერანმა ფეხბურთელებმა პაატა ბარბაქაძემ, იური ნოზაძემ, ივანე ხარაზიშვილმა და მევლუდ ლომიძემ გადასცეს.

დურუს გარდამავალი თასი გუნდის - „სეტანტა სეტეს“ ფეხბურთელებს დავით გოჩიაშვილის მშობლებმა ლეილა ახალკაცმა და თენგიზ გოჩიაშვილმა გადასცეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში ცენტრალური სტადიონის სრული რეაბილიტაცია დაიწყო

სამუშაოების მიმდინარეობას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი გაეცნენ.

პირველ ეტაპზე პროექტი დაზიანებული ტრიბუნების დემონტაჟისა და დამცავი კედლის მოწყობის, სადრენაჟე სისტემის მოწყობისა და გასახდელების რეაბილიტაციის სამუშაოებს ითვალისწინებს.

საერთო ჯამში კი სტადიონი თანა-მედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა და აღიჭურვება.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი საერთო ღირებულება 1 041 230 ლარს შეადგენს.

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20,21,22,23,24,25, 26,27,28,29,30,31)

რვა დღის წამების შემდეგ შეგვიბრალეს: ომიაძემ, ყოფილმა ყაჩაღმა, რომელსაც ციხის ადმინისტრაციაში დიდი თანამდებობა ეჭირა, ბრძანა, ჩვენთვის პური მოეცათ“.

ტყვეთა უმრავლესობა ვერ იტანდა უბედურებას და ჭკუიდან იშლებოდა. მათი გოდება, ცად აღვლენილი, მხოლოდ ციხის მცველთა საზარელ სიცილს იწვევდა პასუხად.

ჩემი მშობლები სურამში ცხოვრობდნენ. ბუნებრივია, იქაურ ამბებს ინტერესით ვადევნებდი თვალს. სურამში არც აჯანყება მომხდარა, არც რაიმე სახალხო გამოსვლას ჰქონია ადგილი. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ მაინც მოძებნა საბაბი, ოცდათექვსმეტი კაცი დაეხვრიტა.

სამი წლის განმავლობაში ვემალებოდი მდევარს. გარეული ნადირივით დავძრწოდი, ხან სად ვაფარებდი თავს და ხან - სად. არ მინდოდა, ჩემს ოჯახს ,,ჩეკას“ ჯაშუშები გადაკიდებოდნენ, ამიტომ მათ აღარ ვნახულობდი, აღარც ჩემს ამბებს ვაწვდიდი. მაინც ვერ შევძელი, ჩემებისათვის რეპრესია ამერიდებინა. ქალაქის მახლობლად რომ ვიმყოფებოდი, ერთმა სომეხმა ექიმმა, გვარად აკოფიანმა, დამასმინა. ჩვენს სახლს ალყა შემოარტყეს და ჩემი და-ძმები დაიჭირეს. ამან საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. ადგილობრივი კომისრები იძულებულნი გახდნენ, საქმეში ჩარეულიყვნენ და უდანაშაულოთა სიცოცხლე გადაერჩინათ. სამწუხაროდ, მამაჩემი ამ ამბავმა იმსხვერპლა: საკუთარი თვალით იხილა, ჩემი უმცროსი ძმა დასახვრეტად როგორ წაიყვანეს და ამ სურათს მისმა გულმა ვეღარ გაუძლო“.

შეიძლება ვინმეს გადამეტებული ეჩვენოს ი. ცაგურიას დამოკიდებულება და შეფასებები აგვისტოს აჯანყების შემდეგ ქვეყანაში და კონკრეტულად სურამში შექმნილ მდგომარეობაზე (თუნდაც სურამში 36 კაცის დახვრეტა), მაგრამ შემდგომ წლებში დატრიალებულმა ამბებმა ნათელჰყო, რომ რეპრესიების ასეთი სტილი უცხო არ იყო აჯანყების მონაწილეთა მიმართ.

* * *

რაც შეეხება ხაშურის მუნიციპალიტეტს, აქ ორ ათეულზე მეტი კაცი არ უნდა იყოს სიკვდილით დასჯილი. ამას გვაფიქრებინებს მკვლევარ თ. ენდელაძის მიერ გამოქვეყნებული აგვისტოს აჯანყების შემდეგ გორის მაზრაში დახვრეტილთა სიები.

1924 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტში დახვრეტილთა სია

	გვარი, სახელი, მამის სახელი	ასაკი	სოციალური მდგომარეობა	პარტიულობა
1.	აბაზაძე დიმიტრი მიხეილის ძე	21	შეძლებული	ედპ
2.	აბაზაძე მიხეილ	50	საშუალო	ედპ ფენიდან
3.	აბაშიძე დიმიტრი ლევანის ძე	45	თავადი	ედპ
4.	აბულიანცი სანდრო	40	ვაჭარი	ედპ
5.	ბებიაშვილი იოსებ ივანეს ძე	49	მღვდელმსახ.	ედპ
6.	გელაშვილი სერგი	30	მღვდელმსახ.	ედპ
7.	დაბრუნდაშვილი მიხეილი	40	ვაჭარი	ედპ
8.	ვეზირიშვილი ოქრო იოსების ძე	43	თავადი	ედპ
9.	მურვანიშვილი ირაკლი მიხეილის ძე	23	საშ. ფენიდან	მენშევიკი
10.	ნემსაძე დავით			
11.	ორჯონიკიძე პაშა	42	საშ. ფენიდან	მენშევიკი
12.	ხორავა ალექსანდრე ხახულის ძე	40	ვაჭარი	ედპ
13.	სიხარულიძე ნიკო			
14.	ჯანაშვილი დავითი	37	რაბი	
15.	ბაგრატიონი			
16.	ფურცელაძე			
17.	გოლაშვილი მიხა			

* * *

1924 წლის 16 სექტემბერს გაიმართა ხაშურის რაიონის საბჭოს სხდომა, რომელსაც დაესწრო 200 წევრი. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი - ,,მიმდინარე მდგომარეობა და მენშევიკების მიერ მოწყობილი ავანტიურის შესახებ“.

სხდომაზე გათამაშებული ფარსი მხოლოდ ღიმილის მომგვრელი იქნებოდა, რომ არ გახსოვდეს რაიონში დატრიალებული სისხლიანი კალო...

მომხსენებელი ალექსანდრე ცაბაძე ბრძანებდა: ,,აგერ მეოთხე წელიწადია, რაც საქართველოში არსებობს საბჭოთა ხელისუფლება. ამ ხნის განმავლობაში, როგორც ვიცით არავითარ აჯანყებას და სისხლის ღვრას არ ჰქონიან ადგილი (აქაც და ყველგან ხაზი ჩვენია - თ. ლ.). მუშურ-გლეხური მთავრობა ეწეოდა მშვიდობიან ცხოვრებას და მუშათა და გლეხთა საკეთილდღეოდ აშენებდა სახელმწიფოს. ყოფილი მენშევიკური მთავრობა, რომელიც დაამხო მუშურ-გლეხურმა ძლიერმა მკლავმა. როგორც მოღალატენი, ვერ ურიგდებოდა ამ მდგომარეობას და დღიდან თავისი დამხობისა, გაიხიზნა ევროპის სახელმწიფოებში და ბურჟუაზიულ მთავრობის დახმარებით და პროვოკაციის საშუალებით ჩაუდგა მზადებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსასვლელად და გამოვიდნენ კიდეც, რათა ხელისუფლება ხელში ჩაეგდოთ და გამოფებულიყვნენ თითონ, გაებატონებიათ ყოფილი თავადაზნაურობა და სამღვდელოება, რომლის შემდეგაც მთელს დანაკარგს აინაზღაურებდნენ მუშების და გლეხებისაგან, დაადგამდნენ იმ მძიმე უღელს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ მოხსნა მშრომელებს. აი რა იყო მათი გამოსვლის უმთავრესი მიზეზი და გულის ტკივილი და რანაირად უნდოდათ მათ ,,საქართველოს დამოუკიდებლობა“. მაგრამ საქართველოს მშრომელი ხალხის ხელისუფლება ფხიზლად დგას თავის სადარაჯოზე. მან ყველა ჩვენს მტრებს გასცა საკადრისი პასუხი“(გორის სახ. არქივი, ფ. აღწ. საქ. ფურც.

ალ. ცაბაძე მოუწოდებდა საბჭოს წევრებს, რომ ,,თვითნებობით არსად არავინ მოახდინოს თავადაზნაურების დაბეგვრა და გამოძევება. თუ ასეთი საჭირო იქნება სადმე, მიმართონ სარაიონო აღმასკომს, რომელიც მიიღებს სათანადო ზომებს“, - დაამთავრა თავისი გამოსვლა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ.

ამის შემდეგ ადგილებიდან აძლევენ მომხსენებელს კითხვებს. ისიც ,,აძლევს სათანადო და დამაკმაყოფილებელ პასუხებს დაწვრილებითი განმარტებით“.

შეკითხვებზე ,,დაწვრილებითი განმარტების“ მიცემის შემდეგ ,,იხსნება კამათი. პირველ სიტყვას ამხ. ბაბიაშვილი, - ტეზრის საბჭოს წარმომადგენელი, ამბობს: ,,სოფელ ტეზერში და მის თემში არავითარ უწესობას თავადაზნაურთა მიმართ ადგილი არ ჰქონიან. გამოტანილია სოფლის საზოგადოკრების მიერ დადგენილება, რომ თავადაზნაურები დაუყონებლივ გაძევებულ იქმნენ სოფლებიდან. ის თავადაზნაურები, რომელნიც არ არიან საიმედო პიროვნება“.

ამხ. გაგნიძე თავის კოლეგებს მიმართავდა: ,,ჩვენ მოვისმინეთ ამხ. ცაბაძის მოხსენება, რომელმაც ნათლად გაგვაცნო აღნიშნული გამოსვლების მიზეზი და მიზანი. მას შემდეგ მე მინდა ავღნიშნო ის, რომ სოფლად დარჩენილია მრავალი თავადაზნაურები, რომელნიც წინეთ ეწეოდნენ გლეხების ჩაგვრას და ეხლაც ძველებურად ატარებენ დროს გარყვნილებაში და ამით აღელვებენ გლეხობას. ასეთები გაძევებულ უნდა იქმნენ, გარდა ამისა უნდა მიაქციოთ ყურადღება დაწესებულებებს სადაც მოკალათებულები [არიან] და ამით სარგებლობენ და აგრეთვე ეწევიან შეთქმულებას და მხარს უჭერენ მენშევიკ ავაზაკებს. დაწესებულებებში უნდა მოხდეს გაწმენდა ასეთი ელემენტებისა“.

ერთადერთი გამოსვლა, რომელიც კანონის დაცვასა და თვითმოქმედებისგან თავის შეკავებას, ძველი სოციალ-დემოკრატი სიმონ ბაბლიძე იყო. ,,ყველას კარგათ ახსოვს, - ამბობდა იგი, - თუ რა განწყობაში იყვნენ ჩვენი წინაპრები თავადაზნაურებთან, მაგრამ საჭიროა მეტი დაკვირვება, ჩვენს მოქმედებას უნდა ჰქონდეს კანონიერი მიმდინარეობა და არავითარ თვითმოქმედებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. კანონიერი მიმდინარეობა და არავითარ თვითმოქმედებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს“.

მიაქციეთ ყურადღება, სიმონ ბაბლიძე ორჯერ იმეორებს, - კანონიერი მოქმედება, უარი თვითმოქმედებას.

თუმცა ძნელი იყო ბაბლიძის პოზიციის გაზიარება, როცა ადგილებიდან ისმოდა ,,აღელვებული ხმები“: ,,სამუდამო დასამარება თავად-აზნაურებს“.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ალ. ქებაძემ: ,,თითქმის ყველა სიტყვებიდან ისმის ერთი და იგივე, ის თავადაზნაურები გაძევებულ იქმნენ. ამაზე ჩვენც ვფიქრობთ, მაგრამ [არა] თვითნებობის საშუალებით, არამედ მთავრობის ნებართვიდ და კანონიერ ფარგლებში. მომხდარ ამბების დროს შესაძლებელი იყო თავად-აზნაურების და სამღვდელოების საბოლოოდ განადგურება, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ კიდევ გამოიჩინა ლმობიერება და მიუნიჭა მოქალაქეობრივი უფლება. მხოლოდ თუ რომელიმე არ გასწორდება და კვლავ მოიწადინა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ბოროტ-განზრახვა, მაშინ ასეთები მიიღებენ იმ მუშურ-გლეხურ რისხვას, როგორიც მიიღეს მათმა მოწმეებმა, საბჭოთა ხელისუფლება რამდენათ ლმობიერია, იმდენათ მრისხაანეა და ყველას შესფერისად ეპასუხება. საჭიროა მხოლოდ გამოვარკვიოთ ვინ არის მავნე და ვინ არა. თქვენ საბჭოს წევრებს გევალებათ დანამდვილებით გამოარკვიოთ ამა თუ იმ შემჩნეულ ელემენტის მოქმედება და სათანადო საბრალდებულო მასალით მისცეთ იგი სარაიონო აღმასკომს, რომელიც თავის მხრივ მიიღებს სათანადო ზომებს“.

,,საბოლოვო“ სიტყვაში ალ. ცაბაძე ბრძანებდა: ,,ჩვენ მთავრობას კარგად ესმის თქვენი გულის პასუხი და დიდ ანგარიშს უწევს მას. საჭიროა მხოლოდ ჩვენი მჭიდრო დაკავშირება, იგი ყოველ ღონისძიებას იხმარს მოღალატეების წინააღმდეგ და თქვენი ყოფაცხოვრების ასაყვავებლად. რაც შეეხება თავად-აზნაურების, სამღვდელოების გაძევებას, ეს ჩვენ კარგად ვიცით და ამაზე მთავრობა მიიღებს სათანადო ზომებს“. მრავალმხრივ საყურადღებოა მიღებული დადგენილება:

,,მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ცაბაძისა და მთელი რიგი ორატორებისა მენშევიკ - თავადაზნაურების მიერ მოწყობილ ავანტურის შედეგების და მიმდინარე მდგომარეობის გარშემო, ხაშურის რაიგაერთიანებული საბჭოს კრება ერთხელ კიდევ უთვლის თავის მუშურ-გლეხურ გულისწყრომას ბურჟუიზიის ფინიებს: მენშევიკებს, თავადაზნაურებს, სამღვდელოებას და ყველა ჯურის რეაქციონერებს, რომლებმაც ისარგებლეს მშრომელ ხალხის ლმებიერებით და მუხანათურად მოაწყვეს შეთქმულება თავიანთი ბნელი ზრახვების განსახორციელებლად, რომლის მეოხებით დაირღვა მშვიდობიანი შემოქმედება, რამაც ბუნებრივად გამოიწვია მშრომელ ხალხის აღშფოთება ამ ჯალათების წინააღმდეგ.

კრება ღებულობს რა მხედველობაში, რომ მთელი მომხდარი შეთქმულება მოწყობილია მშრომელი ხალხის ხელით დამხობილ თავად-აზნაურების და მენშევიკებისაგან თავიანთ დაკარგულ ბედნიერების მისაღწევად და მშრომელი ხალხის დიდი ხნის ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლების აღმოსაფრხველად, ამიტომ მუშურ-გლეხური მთავრობის რეპრესიები მათ წინაახმდეგ მიგვაჩნიან ერთწილად მიზანშეწონილად და შემდეგში დარწმუნებული ვართ დაუნდობლად მოეპყრობა ჩვენს მო მტრებს, ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ გვერდში ამოუდგეთ მთავრობას და არ დაუშვათ არავითარი თვითნებური მოქმედება მთავრობის დაუკითხავად, რასაც შეიძლება მოჰყვეს არასასურველი შედეგები. ჩვენა გრეთვე მოვალენი ვართ აუხსნათ გლეხობას, რომ ჩვენი მთავრობა მუდამ იქნება ულმობელი მშრომელი ხალხის მტრების მიმართ და თვით ნუ მიეცემიან სულიერ აღშფოთებას ხელისუფლებისაგან. რაც შეეხება გლეხების აღშფოთებას მიზეზზე თავადაზნაურების გაძევებას სოფლებიდან, საბჭოს წევრებს ევალებათ მოიწვიონ საზოგადო კრება, შეადგინონ ოქმი, აირჩიონ კომისია და ადგილობრივ ხელისუფლების დახმარებით გაძევებულ იქმნენ ყველა დამნაშავე და არასაიმედო პირები. აგრეთვე საბჭოთა დაწესებულებებიდან იქმნენ გაძევებულნი არასასურველი ელემენტები, განსაკუთრებით თავადაზნაურებში. ზიზღი შეერთებულ მოძმეებს - მენშევიკებს, თავადაზნაურებს და სამღვდელოებას.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მუშების და გლეხების კავშირს!

გაუმარჯოსსაბჭოთა ხელისუფლებას!“

ეცნობი ხაშურის რაიონის სათემო საბჭოების წევრთა საერთო კრების მასალებს და შთაბეჭდილება გექმნება, რომ თითქოს აქ ხელისუფლებას რეპრესიებისთვის არ მიემართოს. თუმცა ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი თვალნათლივ ჩანს, - ხაშურის რაიონში აგვისტოს აჯანყებას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ხელისუფლებამ ისეთივე რეპრესიებს მიმართა, როგორსაც იმ რეგიონებში, სადაც გამოსვლები იყო.

ხმაჩამორთმეულები

20 - იან წლებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. ვინც კი ოდნავ შემჩნეული იყო ახალი ხელისუფლების მიერ, უკლებრივ ყველა ცხადდებოდა ახალი ცხოვრების მტრად. მათ მიმართ სასჯელის ერთ-ერთ ზომად გამოიყენებოდა საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. ვინც დაქირავებულ შრომას იყენებდა, ან წარსულში სასულიერო პირი იყო, ან კიდევ ვაჭრობას ეწეოდა, ან ასეთი ოჯახის წევრი იყო, ისინიც საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევით ისჯებოდნენ. მერე მათი მხრიდან იწყებოდა ადგილობრივ თუ ცენტრალურ ორგანოებში განცხადებების შეტანა ხმის უფლების აღდგენის მოთხოვნით. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, რომელსაც ახლდა ხელისუფლების მხრიდან გადამოწმება, საკითხის ხელახალი შესწავლა და ა. შ. განცხადების ავტორები კი ელოდებოდნენ, თუ როდის მოიღებდა ხელისუფლება მოწყალებას - აღედგინა მათთვის საარჩევნო ხმის უფლება. ასეთი ოჯახები შერისხულები იყვნენ, აქედან გამომდინარე კი იმყოფებოდნენ შიშის ქვეშ.

ქვიშხეთში ხმის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა 23 პირს, მათ ვინც დაქირავებულ შრომას იყენებდა, ან ვაჭრობას მისდევდა, ანდა კიდევ სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა. დაქირავებული შრომის გამოყენების

(გაგრძელება IV გვერდზე))

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება)

საბაბით ხმის უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ: ლევან ივანეს ძე ყიფიანს, ნესტორ ზაქარიას ძე კიკნაძე, ნინო ბეჟანის ასულ ყიფიანს, ივანე სესიას ძე ჯაფარიძეს, ლევან მიხეილის ძე ციმაკურიძეს ოჯახით, სანდრო ციმაკურიძეს, ელენე კონსტანტინეს ძე ყიფიანს, ნიკოლოზ ვასილის ძე სუმბათაშვილს.

ვაჭრობის საქმიანობის მიზეზით, ხმის უფლება არ ჰქონდათ დავით ივანეს ძე გიგიტაშვილს, ნიკო გიორგის ძე ლოქაფიძეს, გორა და ვასილ გომარლებს, სანდრო გიორგის ძე ლოქაფიძეს, გიორგი ბერას ძე კიკნაძეს. ვაჭრობაში დასაქმებული ქვიშხეთელები სპეკულიანტებად იწოდებიან.

სასულიერო წოდების ორ პირს - ნიკოლოზ მთიულიშვილს და კოლა დავითის ძე ქალიაშვილს აქვთ საარჩევნო ხმები ჩამორთმეული.

ტაშისკარში ოთხ პირს აქვს ჩამორთმეული საარჩევნო ხმა. კერძოდ, დავით გიორგის ძე ნემსაძეს (დაქირავებულ შრომა), კოტე ზაქარიას ძე ლომსაძეს და ლაზარე გაბრიელის ძე ხაჩიძეს (ვაჭრობის საქმიანობის საბაბით), სინო ხაჩიძეს სასულიერო წოდების გამო.

სარმანიშვილის კარში დასკანა ნიკას ძე კამკამიძეს ჰქონდა ჩამორთმეული საარჩევნო ხმა.

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში შემონახულია არაერთი ზემოჭალელის განცხადება საარჩევნო ხმის უფლების აღდგენის თაობაზე. ამ განცხადებებში კარგად ჩანს, თუ როგორი მსუბუქი ბრალდება იყო საკმარისი, რომ შავსიელთა შორის მოხვედრილიყავი.

ზემო ჭალელი ზაქარია გიორგის ძე ნადირაშვილი იმიტომ მოხვდა შავ სიაში, რომ იგი დაქირავებულ შრომას იყენებდა, თუმცა საქმე სულ მთლად ასე არ ყოფილა. მან 1929 წლის 10 იანვარს შემდეგი შინაარსის განცხადებით მიმართა ხაშურის აღმასკომის თავმჯდომარეს: ,,უნდა მოგახსენოთ, რომ მე გასული წლების არჩევნებში ვიყა ხმის მიცემის უფლებას მოკლებული მითომც მე მდიდარი გლეხი ვყოფილიყო და ამით მაქვს პატივი გაგიცხადოთ შემდეგი სიმართლე. მე როგორც მშრომელი და მიწის მუშა გლეხი, არ უნდა მოვქცეულიყა შავ სიაში, ვინაიდგან ჯერეთ მე ვარ 68 წლის მოხუცი და შესდგება ჩემი ოჯახი 7 სულისაგან, რომელნიც ჩემს რჩენაზე არიან და მყავს ჩემთან ერთი შვილი, რომელიც ავანტყოფია და მის ცოლშვილსაც მე ვინახავ. მყავს ყევარი ხარი, რომელიც უღელად არ ღირს. მაქვს ერთი სახლი და ხუთი დღის უარგისი სახნავი მიწა. სხვა შემოსავლის წყარო მე არსაიდგან არ მაქს გარდა ჩემი ყოველდღიური შრომისა და ამისთვის არ უნდა ჩავითვალო მდიდრათ. მაგრამ თუ ვინმემ ჩამთვალა, ეს არის კერძო ინტერესით და ამისთვის მოგმართავთ ამ განცხადებით, რათა დანამდვილებით გამოარკვიოთ ჩემი ოჯახური მდგომარეობა და როდესაც დარწმუნდებით ჩემი განცხადების სინამდვილეში, არჩევნების დროისთვის აღმიდგინოთ ხმის მიცემის უფლება“.

1929 წლის 11 იანვარს ხაშურის აღმასკომმა განიხილა ზაქარია ნადირაშვილის განცხადება. აღინიშნა, რომ მას 1927 წელს ჩამოერთვა ხმის მიცემის უფლება, როგორც ,,დაქირავებული შრომით მოსარგებლეს“. დადგენილებაში ნათქვამია: ,,რადგან გამოირკვა, რომ მოქალაქე ნადირაშვილი არის გლეხი, მიწის მუშა, არ სარგებლობს დაქირავებული შრომით, არამედ მუშაობას ეწევა თავისი მარჯვენით, აღიძრას შუამდგომლობა სამაზრო საარჩევნო კომისიის საშუალებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წინაშე, რომ აღდგენილ იქნას მოქალაქე ნადირაშვილი თავისი ოჯახის წევრებით საარჩევნო ხმის უფლებებში“.

საქმეს ერთვის ჭალისუბნის საბჭოს წევრების ცნობა, რომლითაც შუამდგომლობდნენ ზაქარია ნადირაშვილს, რათა აღდგენოდა ხმის მიცემის უფლება: ,,ჩვენ, ქვემორე ამისა ხელისმომწერნი, ქალაქ ხაშურის ჭალისუბნის საბჭოს წევრები ვამოწმებთ, რომ ზემო ჭალის მცხოვრებ ზაქარა გიორგის ძე ნადირაშვილს 1927 წელს ჰყავდა ნამდვილად ერთი მწყემსი ექვსი თვის განმავლობაში და სხვაფრივ მას არავითარი დაქირავებული შრომით არ უსარგებლია და თავის მეურნეობას აწარმოებს თავის საკუთარი შრომით, გარდა მცირეოდენ გამონაკლისისა სეზონური მუშაობის (სამი-ოთხი დღ) დროს მუშახელის დახმარების გამოყენებით.

ამასთან ოჯახი მისი შედგება 7 (შვიდი) სულით, მათში მუშახელია ორი (2), არამუშახელი 5 (ხუთი) და შრომის უნარ-მოკლებული და აქვს შემდეგი ქონება: სახლი 2 ოთახი, სახნავი მიწა 5 დღიური, ოთხი სული მუშა-საქონელი, ერთი ძროხა, ნახევარი დღიური ბაღი, ერთი საბძელი, ბეღელი და ძარი.

საბჭოს წევრები: 1.შ. გურეშიძე, 2.ვ. ქალიაშვილი, 3.ვ. ჯაფარაშვილი“.

საქმეში არ ჩანს აღუდგინეს თუ არა ხმის მიცემის უფლება ზ. ნადირაშვილს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ, რადგან დაბალ საფეხურზე მისი განცხადება დააკმაყოფილეს, ცენტრალური საარჩევნო კომისიაც დაეთანხმებოდა მათ გადაწყვეტილებას.

ასეთივე სიტუაციაში აღმოჩნდა პეტრე ივანეს ძე ლაცაბიძე, რომელიც ,,ლიანდაგის განყოფილების მე-4 უბანში მუდმივი დღიური მღებავის თანამდებობაზე“ მსახურობდა. 1929 წლის 29 იანვარს ხაშურის საარჩევნო კომისიამ მისი თხოვნა დააკმაყოფილა. მხოლოდ ცენტრალური კომისიის დასტურიღა იყო მისაღები.

ალექსი გიორგის ძე ღონღაძეს იმიტომ ჩამოართვეს საარჩევნო ხმის უფლება, რომ იგი აგურს ამზადებდა და ჰყიდდა. ,,გასული წლების არჩევნებში მოკლებული ვიყა ხმის მიცემის უფლებას, როგორც აგურის დამამზადებელი და გამყიდავი აგურის, - წერდა იგი განცხადებაში, - აგერ ორ წელიწადზე მეტია, რაც რომ მე სააგურე აღარ მაქს და არავითარ საქმეს ვაჭრულს მე არ ვაწარმოებ, ვცხოვრობ უღარიბესად“.

განცხადებაში აღნიშნულ ფაქტს ემოწმებიან საბჭოს წევრები ვ. ჯაფარაშვილი და არბოლიშვილი.

1929 წლის 31 იანვარს ადგილობრივმა საარჩევნო კომისიამ ა. ღონღაძეს და მისი ოჯახის წევრებს აღუდგინა ხმის მიცემის უფლება და საბუთები გადააგზავნა სამაზრო საარჩევნო კომისიაში.

ასეთივე, მაგრამ უფრო მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდნენ ეკლესიის მსახურები. ზემო ჭალის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდა მედავითნეობას ტარასი თევდორეს ძე მაღრაძე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მან ამ საქმიანობას თავი დაანება, მაგრამ საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევას მაინც ვერ გადაურჩა.

ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომში შეტანილ განცხადებაში ტ. მაღრაძე აღნიშნავდა: ,,მართალია, ვიყავი მედავითნე, მაგრამ თავი მივანებე 1918 წელში და იმ დღიდგან ვამუშავებ დღენახევარ მიწას და ვსცხოვრობ ღარიბათ. მე ვარ 67 წლის, ჩემი მეუღლე 65 წლის, შვილები ჩემი, ნინა - 20 წლის, ვაჟი თევდორე 17 წლის, კომკავშირელი, მარიამი 13 წლის, ვაჟი კოლა 12 წლის. ესენი დღენახევარ მიწით ვცხოვრობთ და მეკუთვნის განა შავ სიაში ჩაწერვა?“.

განცხადებაზე თანდართულ ცნობაში, რომელსაც ხელს აწერენ ჭალის საბჭოს წევრები კოლა ლაცაბიძე, დიმიტრი ხვედელიძე და ნ. ლაცაბიძე, აღნიშნულია, რომ ტარასი მაღრაძემ 1921 წელს თავი დაანება მედავითნეობას და დღემდე ,,რელიგიური წესები არსად არ შეუსრულებია და თავის მეურნეობას აწარმოებს თავისი საკუთარი შრომით“.

1929 წლის 31 იანვარს, ხაშურის ქალაქის საბჭოს საარჩევნო კომისიამ განიხილა ტ. მაღრაძის განცხადება და აღნიშნა, რომ მას ,,ხმის უფლება წართმეული ჰქონდა 1923 წლიდან, როგორც ყოფილ დიაკვანს. რადგან მოქალაქემ თავი დაანება რელიგიური კულტის სასულიერო სამსახურს 1921 წლიდან“ და ,,ცხოვრობს ძალზედ ღარიბათ“, დადგენილებაში ჩაწერა: ,,ამისთვის აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წინაშე, რომ აღუდგეს მას და მის ოჯახის წევრებს საარჩევნო ხმის უფლება“.

1929 წლის 29 იანვარს, სურამის თემის საარჩევნო კომისიას მიმართა სურამში მცხოვრებმა ზაქარია პავლეს ძე ხვადაგაძემ. განცხადებაში ნათქვამია: ,,მე, როგორც წარსულში სასულიერო უწყებაში ნამსახური მღვდელი, შეტანილი ვარ შავ სიაში და ართმეული მაქვს ხმის უფლება... 1923 წლის იანვრის პირველ რიცხვებიდან, მე სრული შეგნებით და სურვილით დავანებე მღვდლობას თავი. წარსულს ზურგი შევაქციე და მას აქეთ ვმსახურობ საბჭოთა დაწესებულებაში, - გორის მაზრის მე-2 რაიონის ფინინსპექციაში ტეხნიკურ მომუშავეთ... მე ვცხოვრობ ჩემი პირადი შრომით - სამსახურით, არავითარი სხვა ქონება არ მაქვს, გარდა ერთი ქვითკირის სახლისა, რომელშიაც მე ვცხოვრობ ჩემი ოჯახით. რომ მე ნამდვილათ ლოიალური, ე.ი. კეთილგანწყობაში ვარ ხელისუფლებასთან. ამას ადასტურებენ ხელის მოწერით ამ ქაღალდზე საბჭოს წევრები... გარდა ამისა, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჩემს ოჯახში იზრდებიან ჩემი ახლო ნათესავი ორი ქალიშვილი მუსხელიშვილები, რომელთაგან ერთი უკვე კომკავშირელია და მეორე პიონერი. მე ხელს უწყობ, რომ ისინი აღიზარდონ საბჭოთა სულისკვეთების ერთგული მოქალაქენი... ექვსი წელიწადი შემისრულდა 1929 წლის იანვარში, რაც მე საბჭოთა დაწესებულებაში ერთგულად და პირნათლად ვმსახურობ“. განცხადებას თან ახლავს მინაწერი, რომელშიც აღნიშნულია: ,,ჩვენ, იტრიის ეკლესიის სამრევლოს საბჭო ვაძლევთ ამ მოწმობას სურამში (ჯაფინაურში) მცხოვრებ მოქ. ზაქარია პავლეს ძე ხვადაგაძეს მასზედ, რომ ის მსახურობდა იტრიის მრევლში მღვდლად 1923 წლის იანვრის შუა რიცხვებამდე და ამ რიცხვიდან დაანება მღვდლობას თავი, რასაც ვადასტურებთ, საბჭოს თავმჯდომარე მღ. კ. ციცქიშვილი, წევრები: პავლე გელაშვილი, ალექსი ნოზაძე, გიორგი ალექსის ძე ულუმბელაშვილი“. 1929 წლის 30 იანვარს საარჩევნო კომისიამ განიხილა ზ. ხვადაგაძის განცხადება და მისცა დასტური მისცა აღდგენაზე.

30 - იანი წლების რეპრესიები - მითი თუ სინამდვილე

30-იანი წლების შუა ხანებში ქვეყანაში არნახული ტრაგედია დატრიალდა. მხედველობაში გვაქვს ის რეპრესიები, რასაც განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა 1937-38 წლებში. ეს ტრაგედია 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს და განსაკუთრებულ აპოგეას სწორედ ზემოთ აღნიშნულ წლებში აღწევს. ცხადია, ამ მოვლენების მიღმა ვერ დარჩებოდა ხაშური და მისი რაიონი. აქაც არაერთი ,,ხალხის მტერი“ აღმოჩნდა, რომელთა ნაწილი სიკვდილით დაისაჯა, ხოლო მეორე ნაწილი ქვეყნიდან შორს გადაასახლეს.

ჯერ კიდევ 1927 წლის 10 ოქტომბერს ხაშურის პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ რეკომენდირებული საკითხი ,,პარტიაში ოპოზიციონერთა შესახებ“. მან დაგმო ოპოზიციონერთა საქმიანობა და სთხოვა ცენტრალურ კომიტეტს უმკაცრესად დაესაჯა ოპოზიციონერთა ჯგუფი, რომელიც ,,ამზადებდა კონტრრევოლუციურ შეთქმულებას პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ, ცდილობდა არევ-დარევა შეეტანა კომპარტიის რიგებში”. ოპოზიციონერთა საქმიანობა დაგმეს თავიანთ გამოსვლებში ს. კაპანაძემ, ი. ურიადმყოფელმა, ნ. მესხიძემ, პ. პაქსაშვილმა, ლ. ქურდაძემ და ლ. გოგალაძემ.

28 ოქტომბერს, ხაშურის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის კრებამ კვლავ განიხილა ოპოზიციონერებთან დამოკიდებულების საკითხი. მოხსენებით გამოდიოდა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი გ. კალმახელიძე. კრებამ ამხილა პარტრაიკომში მოკალათებული ოპოზიციონერები, რომლებიც სახელს უტეხდნენ პარტიულ ორგანიზაციას. ისინი დროულად შეცვალეს მტკიცე ლენინელებით. 23 ოპოზიციონერიდან 17-მა აღიარა შეცდომა და გაიზიარა ლენინური მოძღვრება ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური განვითარების ძირითად საკითხებზე.

1929 წლის მაის-ივნისში ხაშურის რაიონის სოფლების ღარიბი გლეხობა და პარტიული უჯრედები აყენებდნენ საკითხს პარტიის რიგების მერყევი კომუნისტებისგან გაწმენდის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, ხაშურის რაიკომმა სპეციალური წერილით მიმართა სამაზრო კომიტეტს, რომელშიც ნათქვამი იყო: ,,რაიონის 19 უჯრედში ჩატარდა ღია პარტიული კრებები, დაესწრო 900-ზე მეტი კაცი. ხმის უმრავლესობით ყველა ორგანიზაციაში მოითხოვეს პარტიის რიგებში წმენდის ჩატარება. წმენდის დროის რაიონის პარტიული ორგანიზაციიდან გაირიცხა 265 კაცი“ .

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ფეხბურთი -

გიორგი ლაცაბიძე - მიზანი, რომელიც წელს „ივერიას“ აქვს დასახული, ვფიქრობ, აუცილებლად შესრულდება

ჩვენი ქალაქისათვის რომ ფეხბურთი ცხოვრების ნაწილია, არახალი ამბავია. საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს ხაშურის ფეხბურთს და დროის ამ მანძილზე, ჩვენს საყვარელ გუნდში ყოველთვის იყვნენ ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ამინდს ქმნიდნენ თამაშის დროს და ძირითადად, მათ გარშემო იყო აგებული მთელი სათამაშო სტილი თუ კონცეფცია. მადლობა უფალს, რომ ეს ტრადიცია წლევანდელი „ივერიის“ ფორმაციაშიც გრძელდება და დღეს გუნდს ჰყავს ლიდერი,

რომლის გარეშეც, უბრალოდ, წარმოუდგენელია ჩვენი საყვარელი გუნდის თამაში. ასე იყო ყოველთვის და ყველა დროს, რაც ფეხბურთმა სიცოცხლე დაიწყო: ლიდერის გარეშე გუნდი, ოდნავ მხატვრული კუთხით თუ შევხედავთ, საძოვარზე უყურადღებოდ მიტოვებულ ფარას ემსგავსება, სადაც ყოველგვარი ორგანიზება, უბრალოდ, იგნორირებულია და გუნდურობა საერთოდ ქრება. ლიდერის როლი განსაკუთრებით გაიზარდა თანამედროვე ფეხბურთში. ლიდერი სული და გულია გუნდში, იგი ერთგვარი სტიმულატორია დანარჩენი ფეხბურთელებისა და მაგალითი და იმედია მათთვის. დღვანდელ „ივერიაში“, საბედნიეროდ, გვყავს ჭეშმარიტი ლიდერი, გამორჩეული ფეხბურთელი, რომლის თამაშის ყურება ერთგვარი სიამოვნებაა გულშემატკივრებისათვის - **გიორგი ლაცაბიძე**. სწორედ მასთან ინტერვიუს გთავაზობთ მკითხველს:

- გიო, მოდი, უპირველეს ყოვლისა, შენი საფეხბურთო „კარიერული“ ნაბიჯებით დავიწყოთ, ვინ იყვნენ შენი პირველი მწვრთნელები?

თავდაპირველად, სულ პატარას, ავთანდილ ლომიძე მავარჯიშებდა, შემდეგ - მევლუდ ლომიძე. მათ შემასწავლეს ფეხბურთის ანა - ბანა. მე-7 სკოლა დავავმთავრე და უკვე სკოლის ასაკში მოვხვდი „ივერიაში“. ამის შემდეგ იყო, თბილისში, სულაქველიძის აკადემია. აქედან კი „ცხინვალმა“ მიმიწვია და უკვე პირველი პროფესიული კონტრაქტიც გაფორმდა. „ცხინვალიდან“ „ვიტ - ჯორჯიაში“ გადავედი, რომელიც უმაღლესი ლიგის ბინადარი იყო. შემდეგ „რუსთავი“, გორის „დილა“, „საბურთალო“, გაგრა“ და „გარეჯი“.

- ჩვენ ვიცით, რომ მოწვევები წელსაც ბევრი გქონდა, მათ შორის უმაღლესი ლიგის გუნდებიდან, რა იყო ძირითადი ფაქტორი, რომ შენ ორჯერ თუ სამჯერ ნაკლებ ხელფასს დათანხმდი და „ივერიის“ წევრი გახდი?

უპირველეს ყოვლისა, ოჯახთან ახლოს ყოფნის სურვილი და, რა თქმა უნდა, ჩემი ხაშურის სიყვარული. გული მტკიოდა, რომ ამხელა ტრადიციების მქონე გუნდი იმ სიმაღლეზე არ იყო, რასაც იმსახურებს.

- გიო, გულშემატკივრებს ძალიან აინტერესებთ და განიცდიან, რას აპირებ მომავალი სეზონისთვის, დარჩები „ივერიაში“?

- ჯერ ამაზე არ ვფიქრობ. მთავარი საფიქრალი მეორე წრეა. გუნდი დღეისათვის აღმავლობის ეტაპზეა და ვფიქრობთ, უნდა შევასრულოთ დასახული მიზანი, რომ „ივერიამ“ ერთი საფეხურით წაიწიოს.

- და შემდეგ?

- ამაზე სეზონის ბოლოს, თუმცა, დღეისათვის „ივერიის“ გარდა სხვა გუნდზე არც ვფიქრობ.

- შენი ძირითადი ამპლუა მარცხენა მცველის პოზიციაა, თუმცა წელს ბევრჯერ მოგიწია სხვა პოზიციებზეც თამაში...

- ეს მწვრთნელების გადასაწყვეტია. მე კი მზად ვარ, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშო. სხვათაშორის, ასე მარტო აქ არ მიწევს. სხვა გუნდებშიც მითამაშია და თქვენ წარმოიდგინეთ, „გაგრაში“ ერთხელ მეკარეც კი ვიყავი...

- და მაინს ყველაზე კომფორტულად რა ადგილზე გრძნობ თავს?

ალბათ მოედნის შუაში.

- გიო, გულშემატკივრებზეც უნდა გკითხო...

- საოცარი გულშემატკივრები ჰყავს „ივერიას“. მე საქართველოს თითქმის ყველა სტადიონზე მითამაშია და ამ რაოდენობის გულშემატკივარი, თუ არ ჩავთვლით ბათუმს და ქუთაისს, არსად არ დადის სტადიონზე. მეც და მთელი გუნდი, ვგრძნობთ მათ სიყვარულს და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მათი იმედები გავამართლოთ.

- შენ დიდი ოჯახის მამა ხარ. მართლაც ქება და ქება შენ, რომ ოთხ შვილს უზრდი ქვეყანას. ფეხბურთელობაზე თუ ფიქრობენ ბავშვები?

- ჯერ პატარები არიან. თუმცა, ძალიან უყვართ. აი, უფროსს წელს მოუვიდა ასაკი და ალბათ მივიყვან ფეხბურთზე.

- გიო, ისეთ ჯარისკაცს რა ვუთხარი, გენერლობაზე არ ფიქრობდესო, ნათქვამია. საქართველოს ნაკრებზე თუ გიფიქრია?

ეს ყველა ფეხბურთელის ოცნებაა და არც მე ვარ გამონაკლისი. სხვათა შორის, „საბურთალოში“ თამაშის დროს, ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში მოვხვდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამით დამთავრდა ყველაფერი. ისე კი ვიტყვი, რომ საოცარი ნაკრები გვყავს. ძალიან მაგარი თაობა წამოვიდა და მჯერა ის, რაც წელს მათ ევროპის ჩემპიონატზე აჩვენეს, მხოლოდ დასაწყისია.

- უკვე კარს მოგვადგა მეორე წრე. აგერ, 3 სექტემბერს, უკვე პირველი თამაში გვაქვს. რას უნდა ელოდოს გულშემატკივარი?

თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ასე კარგად, ბოლო წლებია, გუნდი არ მომზადებულა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მხარდაჭერით, გუნდმა შეკრებაც გიარა და შეიძლება ითქვას, რომ ოპტიმალურ ფორმაში ვართ,რაც ამხანაგურ თამაშებშიც გამოჩნდა (გორი - 6:4, გარდაბანი - 6:0, ქუთისი - 4:2). ასე, რომ მიზანი, რომელიც დასახული აქვს „ივერიას“, ვფიქრობთ უცილობლად შესრულდება. გუნდი ამისათვის მენტალურადაც მზადაა და, რაც მთავარია, ფიზიკურადაც.

- მადლობა ინტერვიუსთვის, წარმატებები შენც და „ივერიასაც“!

გოგი გოგოლაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.